

შპს „რომ ჯორჯიას“ ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერის
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

1. მოგებისა და ზარალის და და გაუნაწილებელი მოგების
ანგარიშგება.....3
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....4
3. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....5

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითდი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია.....6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და
სააღრიცხვო პოლიტიკა.....7
 - 2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე.....7
 - 2.2 მომზადების საფუძველი.....7
 - 2.3 ფასს-ის პირველად გამოყენება.....7
 - 2.4 საოპერციო და ანგარიშგების ვალუტა.....8
 - 2.5 გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....8
3. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების
განმარტებები.....11

შპს „როშ ჯორჯია“

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
ამონაგები	1	3,589,884	2,874,579
საერთო მოგება		3,589,884	2,874,579
სხვა შემოსავალი	2	66,528	148,114
შრომის ანაზღაურება			(1,647,179)
ინტერნეტი და ტელეფონი		(26,580)	(25,358)
ავტომობილის ხარჯები		(42,637)	(44,160)
სპონსორობა		(169,066)	(200,245)
მივლინება		(217,600)	(130,911)
ცვთა და ამორტიზაცია		(99,991)	(103,852)
საიჯარო ქირა	3	(127,505)	(120,708)
საკუროს სხვაობა	4	(1,487)	(74,458)
სხვა ხარჯები	5	(751,419)	(532,752)
საოპერაციო მოგება		186,783	143,070
ფინანსური ხარჯი/შემოსავალი	6	104	(1,258)
მოგება დაბეგვრამდე		186,887	141,812
მოგების გადასახადი	7	507	
წმინდა მოგება		186,380	141,812
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში დივიდენდები		736,080	594,268
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		922,460	736,080

შენიშვნა: ზემოთ წარმოდგენილი ფორმატით დემონსტრირებულია ხარჯების აგრეგირება ეკონომიკური შენაარსის მიხედვით. ვინაიდან წლის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში ცვლილება მხოლოდ მოგებამ და ზარალმა განაპირობა, კომპანიამ გადაწყვიტა მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ერთი ანგარიშგების წარდგენა, სრული შემოსავლების ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ცალ-ცალკე წარდგენის ნაცვლად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

	შენიშვნები	12/31/2019	12/31/2018	12/31/2017
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	271,869	330,927	439,326
არამატერიალური აქტივები	9	2,798	4,078	4,364
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		274,667	335,005	443,690
მარაგები	10	20,732	71,552	39,291
მოკლევადიანი მოთხოვნები	11	1,626,445	935,535	1,331,573
გაცემული ავანსები	12	14,261	13,921	15,101
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	13	369,214	309,540	323,376
მთლიანი მიმდინარე აქტივები		2,030,652	1,330,548	1,709,341
მთლიანი აქტივები		2,305,319	1,665,553	2,153,031
კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი	14	500,000	500,000	500,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		922,460	736,080	594,268
მთლიანი კაპიტალი		1,422,460	1,236,080	1,094,268
მიმდინარე გადასახადები	15	294,604	153,914	302,335
გადასახდელი პროცენტი	16	-	-	223
მოკლევადიანი სესხი	17	-	-	259,220
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელო	18	545,859	262,368	486,881
მოკლევადიანი ვალდებულებები	19	42,396	13,191	10,104
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		882,859	429,473	1,058,763
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2,305,319	1,665,553	2,153,031

შპს „როშ ჯორჯი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის (ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		186,380	141,812
<i>კორექტირებები:</i>		<i>101,582</i>	<i>184,155</i>
- ცვეთა და ამორტიზაცია		99,991	103,852
- წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	6	104	(1,258)
- საკუროსო სხვაობა	4	1,487	74,458
- მოგება (ზარალი) ფიქსირებული აქტივის რეალიზაციის დროს	-	-	7,103
<i>ცვლილებები:</i>		<i>(187,044)</i>	<i>(4,891)</i>
- მარაგები	10	50,820	(32,262)
- მოკლევადიანი მოთხოვნები	11	(690,910)	396,038
- გაცემული ავანსები	12	(340)	1,180
- მიმდინარე გადასახადები	15	140,690	(148,421)
- მოკლევადიანი ვალდებულებები	18,19	312,696	(221,426)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		100,918	321,076
საპროცენტო ხარჯი	6	(104)	1,258
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		100,814	322,335
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ფიქსირებული აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხები			(7,103)
- ფიქსირებული აქტივების შეძენა	8,9	(39,653)	4,833
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(39,653)	(2,270)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- სასესხო ვალდებულებების შემცირება	16,17		(259,443)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		-	(259,443)
ფულადი ნაკადების ნეტო ზრდა (კლება)		61,161	60,622
საწყისი ბალანსი ფული და ფულთან გათანაბრებული ექვივალენტი			
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	4	(1,487)	(74,458)
საბოლოო ბალანსი ფული და ფულთან გათანაბრებული ექვივალენტი	13	369,214	309,540

შენიშვნა: მომზადებულია არაპირდაპირი მეთოდით.

შპს „როშ ჯორჯია“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „რომ ჯორჯია“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის 14 დეკემბერს. საიდენტიფიკაციო ნომერი- 404433635, მისამართი - ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 71. დღგ-ს გადამხდელად დარეგისტრირდა 2013 წლის სექტემბრის თვეში.

კომპანიის 100% დამფუძნებელია შპს „ფ. ჰოფმან ლა როში“ (ბაზელი, შვეიცარია). კომპანიას ყავს დირექტორი და პროკურისტი, რომლებიც წარმოადგენენ უფლებამოსულებულ პირებს ორმაგი ხელმოწერის პრინციპის დაცვით. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სამედიცინო საქმიანობის ხელშეწყობა, ფარმაცევტულ პროდუქციასთან და სამედიცინო აპარატურასთან დაკავშირებული სამედიცინო და სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელება; საბაზრო კვლევები; სამედიცინო პროდუქციის რეგისტრაცია; კლინიკური კვლევების განვითარება; დახმარების გაწევა და სამედიცინო აპარატურით მომარაგება; სამედიცინო აპარატურის ნიმუშების იმპორტი/შეძენა და გავრცელება. კომპანიის დამფუძნებელი, შპს „ფ. ჰოფმან ლა როში“, განიხილება როგორც დაკავშირებული მხარე, რომელიც წარმოადგენს რომ ჰოლდინგის ნაწილს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღურებულების პრინციპზე დაყრდნობით. მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა. კომპანიას გააჩნია საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ერთი კომპანიის ფინანსური ანგარიშგებას. საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღია: 31.12.2019 და ის მოიცავს 2019 წელს. ფინანსური შედეგები წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგების სახით. რადგან კაპიტალის ნაწილში არ მომხდარა არანაირი ცვლილება, ის გაერთინებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დაცულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები და ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის გამოყენებით მიღწეულია ფინანსური მდგომარეობის საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების მოძრაობის სამართლიანი წარდგენა.

2.3 ფასს-ის პირველად გამოყენება

შპს „რომ ჯორჯია“-ს ფინანსურ ანგარიშგების წარდგენა და ფასს-ის გამოყენება პირველად მოხდა 2018 წელს. ფასს-ის სტანდარტზე გადასვალის თარიღად ითვლება 2017 წლის პირველი იანვარი და ანგარიშგება მოიცავდა 2018 წელს. შესაბამისად ეხლა მოსდა 2019 წლის ანგარიშგების წარდგენა ხოლო შესადარისი ინფორმაცია წარმოადგენს შესადარისი პერიოდის 2018 წლის და 2017 წლის ინფორმაციას.

2.4 საოპერციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია.

2.5 გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია მსს-ის ძირითადი დაშვებები - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით. კომპანიას მომსახურებას უწევს მხოლოდ მის დამფუძნებელ კომპანიას. ყოველი თვის ბოლოს იწერება ინვოისი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისად. ვინაიდან მოთხოვნა აღირიცხება უცხოური ვალუტაში, ამიტომ ყოველი წლის 31 დეკემბერს ნაშთი ექვემდებარება გადაფასებას.

სავაჭრო ვალდებულებები

ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულების თანხით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ინდიკატორები და მისაღებია თუ არა მარაგისგან ეკონომიკური სარგებელი, საჭიროების შემთხვევაში ატარებს გაუფასურების ტესტს და შესაბამისად აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში. როდესაც

მოხდება მარაგების გამოყენება მისი ღირებულება უნდა აღიარდეს შესაბამის პერიოდში ხარჯად. მარაგების გასვლა საწყობიდან ხდება FIFO მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება და შემოსავალში აიღება მისი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღირების შემდეგ ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალებები დაყოფილია 3 ჯგუფად: ავტომანქანები, ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი. ავტოსატრანსპორტო საშუალებებს მომსახურების ვადად განსაზღვრულია 7 წელი. ციფრული და ელექტრო ტექნიკის მომსახურების ვადად განსაზღვრულია 2-12 წელი. საოფისე ავეჯი და დანარჩენი ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადად განსაზღვრულია 5, 7 ან 10 წელი.

საწარმო ყოველი წლის ბოლოს აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ინდიკატორები და საჭიროების შემთხვევაში ატარებს გაუფასურების ტესტს და აღიარებს გაუფასურების ზარალს. გაუფასურების ან გაყიდვის შემთხვევაში ხდება შესაბამისი თანხების ასახვა მოგება ზარალში.

აქტივების ცვეთადი ღირებულება ნაწილდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. გამოიყენება ცვეთის წრფივი მეთოდი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით, სარგებლიანობის ვადად განისაზღვრა 20 წელი. საწარმო ყოველი წლის ბოლოს აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ინდიკატორები და საჭიროების შემთხვევაში ატარებს გაუფასურების ტესტს და აღიარებს გაუფასურების ზარალს. აქტივს ამორტიზაცია ერიცხება ძირითადი საშუალების ანალოგიურად. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში მიღებული შემოსულობა ან ზარალი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ორეპაციებზე.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯები აღიარდება 'მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში' იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

ამონაგები

ჩვენი საწარმოთვის შემოსავალი განიხილება როგორც ამონაგები მომსახურების გაწევიდან. ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ამონაგები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, ამონაგების ასახვა ხდება წრფივი მეთოდით.

ხარჯები

ხარჯების აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც მოხდა მათი გაწევა ანუ დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადახდილი საიჯარო გადასახდელები აისახება ხარჯში იმ თვეში რომელსაც ეკუთვნის იჯარის გადასახდი.

3. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

შენიშვნა 1

ამონაგები

ამონაგების აღიარება ხდება წრივი მეთოდით გაწეული მომსახურების პროპორციულად და წარმოადგენს ამონაგებს მომსახურებიდან.

	2019	2018
ამონაგები		

კომპანია მომსახურებას უწევს მხოლოდ დამფუძნებელს, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს.

შენიშვნა 2

სხვა შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან		24,818
შემოსავალი მიღებული სარეგისტრაციო ნიმუშებიდან	35,856	77,476
ავტომატურად სარგებლობა	30,672	45,169
ავტომატური თანამშრომელზე გაყიდვის საშემოსავლო		651
	66,528	148,114

შენიშვნა 3

იჯარა

იჯარა წარმოადგენს ჩვეულებრივ ანუ საოპერაციო იჯარას.

	2019	2018
საიჯარო ქირა	(127,505)	(120,708)

იჯარის ხელშეკრულების ხანგრძლივობა არის 2021 წლის 1 მარტის ჩათვლით. ყოველთვიური გადასახადი დღგ-ს გარეშე შეადგენს 3784 აშშ დოლარს. გადახდა ხდება გადახდის დღის ეროვნული კურსის შესაბამისად. გადასახდელი დარჩა:

	თანხა (ლარი, კურსი 31.12.2019)	თანხა(აშშ დოლარი)
1 წელზე ნაკლები	130,217	45,408
1-დან 5 წლის ჩათვლით	10851	3784

ასევე კომპანიას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადახდილი აქვს ბოლო თვის საიჯარო ქირა, რომელიც ასახულია გაცემული ავანსების მუხლში და შეადგენს 10010.54 ლარს.

შენიშვნა 4

საკუროს სხვაობა

	2019	2018
შემოსავალი	61,373	63,152
ხარჯი	-62860	-137610
	(1,487)	(74,458)

შენიშვნა 5

სხვა ხარჯები

	2019	2018
საპრომოციო მასალა	(13,070)	(12,545)
საყოფაცხოვრებო საქონელი	(6,143)	(5,774)
კომუნალური გადასახადი	(11,115)	(12,712)
ხელფასთან გათანაბრებული ხარჯი	(101,022)	(72,723)
საკანცელარიო	(3,815)	(1,528)
წარმომადგენლობითი	(4,563)	(2,884)
დაზღვევა	(15,975)	(17,214)
IT ხარჯები	(8,075)	(25,656)
ქონების გადასახადი	(3,048)	(3,893)
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები	(3,396)	
კონტრაქტორი ფიზიკური პირების მომსახურება	(132,275)	(94,067)
კონფერენსიები	(116,195)	(51,655)
ფოსტა	(6,902)	
მედიკამენტების რეგისტრაცია	(20,050)	(29,847)
სხვა საერთო ხარჯი	(160,894)	(78,273)
საკომისიო	(2,846)	(3,397)
რეალიზებული მ/ს თვითღირებულება		(31,921)
სარეგისტრაციო ნიმუშები		(39,701)
უსასყიდლო საქონელი		
ავტომატურად სარგებლობა	(30,672)	(45,169)
ვადგასული წამლების ჩამოფასება		(3,793)
	(751,419)	(532,752)

შენიშვნა 6

ფინანსური ხარჯი

	2019	2018
ფინანსური ხარჯი	104	(1,258)

ფინანსური ხარჯი წარმოადგენს საპროცენტო ხარჯს.

შენიშვნა 7

მოგების გადასახადი

	2019	2018
მოგების გადასახადი	507	

შპს „როშ ჯორჯია“ -ს მოგების გადასახადის აღრიცხვა ევალება ესტონური მოდელის შესაბამისად. 2019 წელს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოხდა 2871.85 ლარის ხარჯის გაწევა რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის და შესაბამისად დაიბეგრა მოგების გადასახადით.

შენიშვნა 8

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებისას შეფასებულია თვითღირებულებით. გამოყენებულია ცვეთის წრფივი მეთოდი. ა/მანქანებისთვის სასარგებლო ვადა განისაზღვრება 7 წლით. ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი, ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5,7,10 წელი. ნარჩენი ღირებულება ღებულია 0.

	ა/მანქან.ობა	ოფისის აღჭურვილ	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ჯამი
თვითღირებულება				
1 იანვარი 2019 წ	543,088	109,596	49,471	702,155
შემოსვალ		42,057	992	43,049
გასვლა		23,729	3,012	26,741
31 დეკემბერი 2019 წ	543,088	127,924	47,451	718,463
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				
1 იანვარი 2019 წ	283,754	58,645	28,829	371,228
წლიური ცვეთა	77,584	16,387	5,765	99,736
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა		(21,401)	(2,969)	(24,370)
31 დეკემბერი 2019 წ	361,338	53,631	31,625	446,594
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2019 წ	181,750	74,293	15,826	271,869

2019 წელს არ მომხდარა ძირითადი საშუალებების გაყიდვა. მოხდა დაზიანებული და ეკონომიკური საქმიანობისთვის უვარგისი ძირითადი საშუალებების ჩამოწერა.

შენიშვნა 9

არამატერიალური აქტივი

სარგებლიანობის ვადად განისაზღვრა 20 წელი. არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით. საწარმომ ყოველი წლის ბოლოს უნდა მოახდინოს აღრიცხვა გაუფასურდა თუ არა აქტივი და მოახდინოს გაუფასურების აღიარება და შეფასება. ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია, ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით. ამორტიზაცია ჩართულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მუხლში „ცვეთა და ამორტიზაცია“

არამატერიალური აქტივი	
თვითღირებულება	
1 იანვარი 2019 წ	5,723
შემოსვალ	
გასვლა	1,500
31 დეკემბერი 2019 წ	4,223
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	
1 იანვარი 2019 წ	1,645
წლიური ცვეთა	255
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	475
31 დეკემბერი 2019 წ	1,425
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2019 წ	2,798

2019 წელს მოხდა ეკონომიკური საქმიანობისთვის უვარგისი არამატერიალური აქტივის ჩამოწერა.

შენიშვნა 10

მარაგები

მარაგი შეფასებულია თვითღირებულებით, ანუ მისი შეძენის ფასით. ჯგუფების მიხედვით:

მარაგები დაყოფილია საპრომოციო მასალად, სარეგისტრაციო ნიმუშებად და საწვავი.

	2019	2018
საპრომოციო მასალა	18,294	18,130
სარეგისტრაციო ნიმუშები	1,737	52,217
საწვავი	701	1,206
სულ	20,732	71,553

მიმდინარე პერიოდის მიღებული მარაგის რაოდენობამ შეადგინა 73084, ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 123771 ლარი (2018 წელს 74503.47 ლარი). რადგან მარაგები შეიცავს სარეგისტრაციო ნიმუშებს და მათი სარგებლობის ვადა მკაცრად განსაზღვრულია, მოხდა ვადის გასვლის გამო ნიმუშების ფასის განულება. მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 134 ლარი (2018 წელს 3793.45 ლარი).

შენიშვნა 11

მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
მოკლევადიანი მოთხოვნები	1,626,445	935,535	1,331,573

მოკლევადიანი მოთხოვნები წარმოიშვება მხოლოდ დამფუძნებელი კომპანიის მიმართ.

საინვოისო თანხა ფიქსირდება აშშ დოლარში და ყოველი წლის 31 დეკემბრის კურსის მდგომარეობით ხდება თანხის კორექტირება. სხვაობა აისახება მოგება ზარალში საკურსო სხვაობის სახით.

შენიშვნა 12

გაცემული ავანსები

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
გაცემული ავანსები	14,261	13,921	15,101

გაცემული ავანსები 2019 წლისთვის წარმოადგენს წინასწარ გადახდილ საიჯარო ქირას 10010.54 ლარი, ავტომობილების დაზღვევა - 1517.63 ლარი, ავტომობილის სადგომის ღირებულება -221.26 ლარი, თანამშრომლისთვის ბინის ქირა - 2160 ლარი და სხვა -352 ლარი.

გაცემული ავანსები 2018 წლისთვის წარმოადგენს წინასწარ გადახდილ საიჯარო ქირას 10006.5 ლარი, ავტომობილების დაზღვევა - 1522.31 ლარი, ავტომობილის სადგომის ღირებულება -232.6 ლარი, და თანამშრომლისთვის ბინის ქირა - 2160

2017 წლისთვის საიჯარო ქირას 10927.59 ლარი, ავტომობილების დაზღვევა - 1748.83 ლარი, ავტომობილის სადგომის ღირებულება -264.83 ლარი, და თანამშრომლისთვის ბინის ქირა - 2160

შენიშვნა 13

ფული და ფულის ექვივალენტი

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
უცხოური ვალუტა		294,426	259,220
ეროვნული ვალუტა ბიზნეს ბარათებზე	13,980	4,295	4,435
ეროვნული ვალუტა		10,819	59,721
	369,214	309,540	323,376

ყოველი წლის 31 დეკემბრის კურსის მდგომარეობით ხდება უცხოური ვალუტის თანხის კორექტირება. სხვაობა აისახება მოგება ზარალში საკურსო სხვაობის სახით.

შენიშვნა 14

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და შეადგენს 500,000 ლარს.

შენიშვნა 15

მიმდინარე გადასახადები

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
საშემოსავლო გადასახადი	138,369	66,724	121,722
დღგ	156,235	87,995	180,534
ქონების გადასახადი		805	79
	294,604	155,524	302,335

შენიშვნა 16

გადასახდელი პროცენტი

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
გადასახდელი პროცენტი			223

2017 წლის განმავლობაში დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 219.87 აშშ დოლარი რაც უდრიდა 548.34 ლარს, გადახდილი იყო 204.89 აშშ დოლარი ექვივალენტი ლარში 505.46, ასევე არარეზიდენტის გადასახადი 5% პროცენტი - 26.62 ლარი. 2017 წელს დაერიცხა გადაფასების 152.26 ლარი. 31.12.2017ის მდგომარეობით ნაშთი იყო 85.92 აშშ დოლარი - 222.73 ლარი.

2018 წლის განმავლობაში დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 463.93 აშშ დოლარი რაც უდრის 1149.9 ლარს. გადახდილი იყო 609.34 აშშ დოლარი ექვივალენტი ლარში 1500.71 და ასევე არარეზიდენტის გადასახადი 5% პროცენტი - 82.27 ლარი. გადაფასების 210.34 ლარს.

მიღებულ სესხთან დაკავშირებით პროცენტების დაფარვა დროულად მოხდა 2018 წელს და შესაბამისად 31.12.2018 -ისთვის სესხი დაიფარა სრულად.

შენიშვნა 17

სესხი

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
მოკლევადიანი სესხი			255,970

2017 წლის აპრილში მიღებული ერთი სესხი 100 000 აშშ დოლარის ოდენობით, დაიფარა სრულიად 2017 წლის ივნისში. 2017 წლის დეკემბერში მიღებული მეორე სესხი 100 000 აშშ დოლარის ოდენობით, დაიფარა 2018 წლის თებერვალში. 2018 წლის აპრილში მიღებული სესხის, რომელიც შეადგენდა 150000 აშშ დოლარს, დაფარვა მოხდა 2018 წლის მაისში. რადგან სესხის დაფარვის ვადა მაქსიმუმ სამი თვით განისაზღვრება, და სხვაობა არ არის არსებითი, კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად არ არის გამოყენებული დისკონტირებული განაკვეთის გამოთვლა. სესხი მიღებულია კომპანიის დამფუძნებლიდან ანუ დაკავშირებული მხარედან. პროცენტის გამოთვლა და გადახდა განსაზღვრულია ხელშეკრულებით. წელიწადი განიხილება როგორც 360 დღე, კურსი გამოითვლება ყოველ კვარტალურად სამი თვის USD LIBOR-ს კურსს მიმატებული 0.3%. 2019 წელს კომპანიას სესხი არ აუღია.

შენიშვნა 18

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელო

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელო	545,859	262,368	486,881

დაქირავებულ მომუშავეთ გასამრჯელოში აღიარებულია ვალდებულებად გასაცემი ბონუსების თანხები, რომლების გაცემა კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად ხდება გამომუშავებული წლის შემდეგ წელს. 2017 წლის თანხის გაცემა მოხდა 2018 წელს. 2018 წელს გამომუშავებული თანხის გაცემა მოხდა 2019 წელს. ხოლო 2019 წელს გამომუშავებული თანხის გაცემა მოხდება 2020 წელს.

შენიშვნა 19

მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
მოკლევადიანი ვალდებულებები	42,396	13,191	10,104

მოკლევადიანი ვალდებულებები განპირობებულია კომპანიის მიდგომით კრედიტორებთან და განისაზღვრება კონტრაქტით არსებული გადახდის პირობების მიხედვით. ზოგიერთ კრედიტორთან გადახდის პირობა შეადგენს 30 -მგე დღეს, ზოგიერთთან 60-მდე. თანხების დაფარვა ხდება სრულად დაგვიანების გარეშე.

შენიშვნა 20

დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებად განიხილება კომპანიის დამფუძნებელი, შპს „ფ. ჰოფმან ლა როში“. კომპანია უწევს დამფუძნებელს მომსახურებას და ის წარმოადგენს ერთადერთ შემოსავლის წყაროს. ასევე ხდება სესხის მიღება დამფუძნებლისგან.

	2019 USD	2019 GEL	2108 USD	2018GEL	2017 USD	2017 GEL
მისაღები თანხა	1,482,639	4,206,146	1,328,314	3,384,833	1,508,931	4,552,859
მიღებული თანხა	1,268,165	3,547,353	1,492,475	3,732,763	1,368,903	3,412,590
გადაფასება		23,048		48,109		12,186
ნაშთი	2,750,804	7,776,547	2,820,789	7,165,705	2,877,834	7,977,635

სესხი	218 USD	2018GEL	2017 USD	2017 GEL
მიღებული თანხა	150000	371,865	200,000	495,400
გადახდილი თანხა	-250000	-619565	-100000	-241810
გადაფასება		-11520		5630
ნაშთი	(100,000.00)	(259,220.00)	100,000.00	259,220.00

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასი და კომპენსაცია შეადგენს 577644 ლარს (2018: 573537 ლარი)

სხვა შენიშვნები.

1. 2017, 2018 და 2019 წლებში კომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებით და შესაბამისად არ გამოვლენილა მოგების გადასახადის გადახდა ამ განაცემის მიხედვით.
2. არ გააჩნია არანაირი ანარიცხი, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.
3. არ გამოქვეყნდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.
4. კომპანიის მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. პირველი ანგარიშგების ჩაბარება მოხდა 2018 წლისთვის. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარსულში არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება. მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანია აღრიცხვას აწარმოებდა ისეთი პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობას ემყარებოდა. მსს ფასს-ზე გადასვლას კომპანიის მთლიან კაპიტალზე გავლენა არ მოუხდენია, შესაბამისად, წარმოდგენილი არ არის მსს ფასს-ზე გადასვლის ეფექტის შეჯერება.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 27 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

მაკა ასათიანი

პროკურისტი:

ანა გოგოლაძე

სხვა შენიშვნები.

1. 2017, 2018 და 2019 წლებში კომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებით და შესაბამისად არ გამოვლენილა მოგების გადასახადის გადახდა ამ განაცემის მიხედვით.
2. არ გააჩნია არანაირი ანარიცხი, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.
3. არ გამომყვანდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.
4. კომპანიის მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. პირველი ანგარიშგების ჩაბარება მოხდა 2018 წლისთვის. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ზუღაღტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარსულში არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება. მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანია აღრიცხვას აწარმოებდა ისეთი პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობას ემყარებოდა. მსს ფასს-ზე გადასვლას კომპანიის მთლიან კაპიტალზე გავლენა არ მოუხდენია, შესაბამისად, წარმოდგენილი არ არის მსს ფასს-ზე გადასვლის ეფექტის შეფერვა.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 27 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:




მანკა ასათიანი

პროკურორისტი:



ანა გოგოლაძე